არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვება
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2012 წლის 1 ოქტომბერი

განცხადება წინასწარი მონაცემების და დასკვნების შესახებ

თბილისი, 2012 წლის 2 ოქტომბერი - განცხადება წინასწარი მონაცემების და დასკვნების შესახებ ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის პარლამენტის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

ევროპის მოქმედმა თავმჯდომარემ ევროპის საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის თავმჯდომარე ტონინო პიკულა (ხორვატია) სპეციალურ კოორდინატორად დანიშნა რათა მას ევროპის მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიისთვის ეხელმძღვანელა. ლუკა ვოლონტე (იტალია) ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა, მილან კაბრნოჩი (ჩეხეთის რესპუბლიკა) ევროპის პარლამენტის დელეგაციას ხელმძღვანელობდა, ხოლო ასენ აგოვი (ბულგარეთი) ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას ხელმძღვანელობდა. ნიკოლაი ვულჩანოვი (ბულგარეთი) ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელია, აღნიშნული მისია მუშაობას 2012 წლის 22 აგვისტოდან შეუდგა.

წინამდებარე შეფასება იმ მიზნით გაკეთდა რომ დადგენილიყო შეესაბამებოდა თუ არა არჩევნები ევროპის და ევროპის საბჭოს დემოკრატიულ არჩევნებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს და საქართველოს კანონმდებლობას. წინამდებარე განცხადება წინასწარი მონაცემების და დასკვნების შესახებ საარჩევნო პროცესის დასრულებამდე კეთდება. არჩევნების საბოლოო შეფასება ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება საარჩევნო პროცესის დარჩენილი ეტაპების წარმართვაზე, მათ შორის არჩევნების შედეგების დათვლის, შეჯამების და გამოცხადების პროცესზე და ასევე არჩევნების შემდგომ შესაძლო საჩივრების და აპელაციების განხილვის პროცესზე. ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი საბოლოო ყოვლისმომცველ ანგარიშს, რომელშიც შევა რეკომენდაციები არჩევნების პროცესის გაუმჯობესების პოტენციურ გზებზე, საარჩევნო პროცესის დასრულებიდან რვა კვირის შემდეგ გამოაქვეყნებს. ევროპის საპარლამენტო ასამბლეა საკუთარ ანგარიშს ტირანაში მუდმივი კომიტეტის სხდომაზე წარმოადგენს, რომელიც 2012 წლის 6 ოქტომბერს გაიმართება. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია საკუთარ ანგარიშს ასამბლეის 2013

წლის იანვრის სხდომაზე წარმოადგენს. ევროპის პარლამენტი საკუთარ ანგარიშს საგარეო საქმეთა კომიტეტში ამ კომიტეტის შემდეგ სხდომაზე წარადგენს. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა მის ანგარიშს შემდეგ ყოველწლიურ სესიაზე ნოემბერში წარადგენს.

წინასწარი დასკვნები

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის რომელიც შესაბამისობაში მოდის ეუთოს და ევროპის საბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, თუმცა გარკვეული მნიშვნელოვანი საკითხები კვლავ საჭიროებს გადაწყვეტას. არჩევნები კონკურენტული იყო, მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა, მათ შორის მშვიდობიანი ფართომასშტაბიანი მიტინგების სახით, სახეზე იყო. თუმცა საარჩევნო კამპანიის გარემო პოლარიზებული და დაძაბული იყო, იგი მკვეთრი რიტორიკის გამოყენებით და ზოგ შემთხვევაში ძალადობის გამოვლინებით ხასიათდებოდა. საარჩევნო კამპანია ხშირად კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმის წარმოჩენის მაგივრად ერთის მხრივ თანამდებობის და მეორეს მხრივ კერძო ფინანსური რესურსების გამოყენებაზე ფოკუსირდებოდა.

გაერთიანებების, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება მთლიანობაში პატივცემული იყო, თუმცა პარტიული აქტივისტების დაშინების და შევიწროების შემთხვევები საარჩევნო გარემოს აფუჭებდა, რაც კონკურენტებს შორის უნდობლობის ატმოსფეროს უწყობდა ხელს. ამგვარი ინცინდენტები ხშირად ძირითადად ოპოზიციასთან დაკავშირებული საარჩევნო კამპანიაში მონაწილე პირების დაკავებებით ან დაჯარიმებით მთავრდებოდა. სახელმწიფოს აქტივობებსა და მმართველი პარტიის კამპანიას შორის განსხვავება ხანდახან არ ჩანდა, რაც ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4-ე პარაგრაფის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება.

არჩევნების დღე

მთლიანობაში არჩევნების დღემ მთელი ქვეყნის მასშტაბით წყნარ და მშვიდობიან ვითარებაში ჩაიარა. საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნების დღის ყველა ეტაპი პროცედურების შესრულების მხრივ მთლიანობაში დადებითად შეაფასეს, თუმცა ხმების დათვლის პროცესმა ნაკლებად პოზიტიური შეფასება მიიღო. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წინასწარი შედეგების გახმოვანება და ოქმების გამოქვეყნება არჩევნების დღის მეორე დღეს, დილის საათებში დაიწყო რამაც გამჭირვალეობას შეუწყო ხელი. ამომრჩეველთა აქტივობის წინასწარი მაჩვენებლები 60.8 პროცენტს შეადგენდა.

არჩევნებზე თოთხმეტი პარტია, ორი საარჩევნო ბლოკი და ოთხი დამოუკიდებელი კანდიდატი იქნა დარეგისტრირებული და ეს პროცესი ჩართულობით და გამჭვირვალობით გამოირჩეოდა, შედეგად ამომრჩევლებს ფართო არჩევანი მიეცათ. პოზიტიური ნებაყოფლობითი კვოტა, რომლის მიზანია კანდიდატებს შორის უფრო დაბალანსებული გენდერული სურათის მიღება, არჩევნებში მონაწილე სუბიექტების უმრავლესობას არ შეუსრულებია, მათ შორის ეს კვოტა არ შესრულდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ოპოზიციური კოალიცია ქართული ოცნების მიერ, რამაც ამ კვოტის შედეგიანობა შეზღუდა.

მთლიანობაში საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა ჰქონდა და იგი არჩევნების მზადების პროცესს პროფესიონალურად წარუძღვა. ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) ეფექტურად და გამჭირვალედ მოქმედებდა, იგი ხშირად ატარებდა შეხვედრებს, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიების და მედიის წარმომადგენლებისთვის. ამასთან ერთად ცესკომ რამოდენიმე მისასალმებელ ინიციატივას შეუწყო ხელი, რომელთა მიზანი ეროვნული უმცირესობების არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობა იყო.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის და ასევე პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ამომრჩეველთა სიების გადამოწმების პროცესმა ამომრჩეველთა სიების ხარისხის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი გაზარდა. უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეებისთვის განსაზღვრული ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურების პოტენციური ამომრჩევლებისთვის ნათლად და დროულად გაცნობა არ მომხდარა, რამაც შესაბამის ინსტიტუტებს შორის არასაკმარისი კოორდინაცია და შესაბამისი რეგულაციების დაუხვეწელობა გამოაშკარავა.

უწყებათშორისი კომისია, რომლის მანდატში საარჩევნო კამპანიის დროს წარმოშობილი საჩივრების და ბრალდებების განხილვა შედიოდა, სასარგებლო ფორუმი გამოდგა დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი პრობლემების განხილვისთვის. უწყებათშორისი კომისიის არასავალდებულო რეკომენდაციები დროულად ხორციელდებოდა შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

საარჩევნო კოდექსი მთლიანობაში ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, თუმცა მისი კიდევ უფრო გაუმჯობესების შესაძლებლობებიც არსებობს. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ მანამდე გაკეთებული მნიშვნელოვანი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა, მათ შორის პატიმრებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭება, დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ საკუთარი კანდიდატურების წარდგენის უფლება და ქვეყანაში ცხოვრების ცენზის შემცირება. სხვა მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ჯერ კიდევ გასათვალისწინებელია. ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არსებული დიდი განსხვავებები, რაც ძირს უთხრის არჩევანის თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც 1990 წელს ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.3-ე პარაგრაფის მიერ არის განსაზღვრული. გარდა ამისა, არჩევნების შემდეგ არჩევნებში მონაწილე სუბიექტების დისკვალიფიკაციის შესაძლებლობები, რომლებიც კანონის რამოდენიმე მუხლშია გათვალისწინებული, ეწინააღმდეგება ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.9-ე პარაგრაფს[1].

კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ), რომელიც პარტიების და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესებს არეგულირებს, ყოვლისმომცველი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის მიზნით იქნა შემუშავებული. თუმცა კანონში სერიოზული ნაპრალები, ორაზროვანი დებულებები და დისპროპორციული სანქციებია გათვალისწინებული, რაც მის განხორციელებაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს. როგორც საარჩევნო კოდექსში ისე კანონში პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ მნიშვნელოვანი შესწორებები არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში შევიდა, რაც ზოგიერთმა თანამოსაუბრემ გააკრიტიკა რადგან მათი აზრით ამ შემთხვევაში მიუკერძოებლობის პრინციპი არასაკმარისად იყო დაცული.

ახალ მარეგულირებელ ორგანოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებები მიენიჭა, მაგრამ მთლიანობაში ამ ორგანომ ვერ შეძლო იურიდიული დებულებების გამჭირვალედ, დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და თანმიმდევრულოად გამოყენება და იგი ძირითადად ოპოზიციის წინააღმდეგ მოქმედებდა. ამ მხრივ კითხვები გაჩნდა შესაბამისი პროცედურების დაცვის და სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის მხრივ.

მედია გარემო მრავალფეროვანი იყო, თუმცა ზოგიერთი კერძო ტელეარხის ქვეყნის შიგნით დაფარვის ზონა შეზღუდული იყო, რაც მოქალაქეებისთვის მრავალფეროვან ინფორმაციაზე სრულ ხელმისაწვდომობას ხელს უშლიდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგმა აჩვენა რომ მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ახდენდა საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურად დაბალანსებულ გაშუქებას. არცერთ დანარჩენ მონიტორინგს დაქვემდებარებულ სატელევიზიო არხს არ უწარმოებია ახალი ამბების დაბალანსებული გაშუქება, რაც მათ იურიდიულ ვალდებულებებს

[1] ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.9-ე პარაგრაფის მიხედვით წევრმა სახელმწიფოებმა „უნდა უზრუნველყონ რომ ის კანდიდატები, რომლებიც მოიპოვებენ ხმათა აუცილებელ რაოდენობას, დამტკიცდნენ მოპოვებულ თანამდებობაზე“

ეწინააღმდეგება. ე.წ. Must Carry Must Offer-ის დებულების ამოქმედების შედეგად, რომელიც მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში იმოქმედებს, ოპოზიციისკენ გადახრილ ტელეკომპანიებს საკუთარი აუდიტორიის გაზრდის საშუალება საკაბელო ტელევიზიებში მათი მაუწყებლობის გავრცელების შედეგად მიეცათ, ამ პრინციპის ამოქმედება პოზიტიური მოვლენა გახლდათ. გარდა ამისა მრავალრიცხოვანი თოქ-შოუების და დებატების მეშვეობით კანდიდატებს საკუთარი შეხედულებების წარმოდგენისთვის რეალური შესაძლებლობა მიეცათ.

დიდი რაოდენობით ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მთელს საარჩევნო პროცესში აქტიურმა მონაწილეობამ გაზარდა ამ პროცესის საერთო გამჭვირვალობის დონე. ხელისუფლება ღია იყო მათი მონაწილეობის მიმართ და იღებდა მათ მიერ წარმოდგენილ ინიციატივებს.

წინასწარი მონაცემები

წინა ისტორია

1 აგვისტოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუციის შესაბამისად საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს დანიშნა. ახალ პარლამენტს მნიშვნელოვნად გაზრდილი უფლებამოსილებები ექნება. 2010 წელს ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით მოხდა პრეზიდენტის უფლებამოსილებების პრემიერ მინისტრის და მთავრობის სასარგებლოდ შემცირება. ეს საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა, რომლებიც 2013 წელს უნდა გაიმართოს.

მიმავალ პარლამენტში მმართველ პარტიას - ერთიან ნაციონალურ მოძრაობას 150-დან 119 ადგილი ეკავა. გაერთიანებულ ოპოზიციას 17 ადგილი, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და ლეიბორისტულ პარტიას 6-6 მანდატი ხოლო რესპუბლიკურ პარტიას კი 2 მანდატი ეკუთვნოდა. პარლამენტის ორმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, რომლებიც რესპუბლიკურ პარტიას წარმოადგენდნენ, უარი თქვეს საკუთარ მანდატებზე, მათი ადგილი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა 2008 წელს შესაბამის ოლქებში ჩატარებული რიგგარეშე არჩევნების შედეგად დაიკავეს.

საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო სტრუქტურა

150 ადგილიანი პარლამენტი ოთხი წლის ვადით შერეული სისტემით აირჩევა. პოლიტიკური პარტიები და კოალიციები შემდეგი საპარლამენტო ადგილებისთვის იბრძოდნენ: 73 პარლამენტის წევრი მაჟორიტარული სისტემით

ირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში ხოლო 77 წევრი პარტიული სიით პროპორციული სისტემით ირჩევა მთელი ქვეყნის მასშტაბით. პარტიები ან ბლოკები საპარლამენტო ადგილების გადანაწილებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებენ მონაწილეობას თუ კონკრეტული პარტია თუ ბლოკი 5 პროცენტიან ბარიერს გადალახავს (აღნიშნული პროცენტი ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობიდან გამოითვლება). მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატმა ხმების მინიმუმ 30 პროცენტი მაინც უნდა მიიღოს იმისთვის რომ იგი პარლამენტში იქნას არჩეული. სხვა შემთხვევაში განმეორებითი არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ის ორი კანდიდატი, რომლებმაც არჩევნების პირველ რაუნდში ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა დააგროვეს.

საარჩევნო კანონმდებლობას შემდეგი ძირითადი კანონები არეგულირებს: კონსტიტუცია, საარჩევნო კოდექსი, ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ), კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, სისხლის სამართლის კოდექსი და საარჩევნო ადმინისტრაციის რეგულაციები. როგორც საარჩევნო სისტემაში ისე საკანონმდებლო სტრუქტურაში არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი, რაც ეწინააღმდეგება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას და რაც ზოგიერთმა თანამოსაუბრემ გააკრიტიკა რადგან მათი აზრით ამ შემთხვევებში მიუკერძოებლობის პრინციპი არასაკმარისად იყო დაცული[2].

საარჩევნო კოდექსში, რომელშიც შესწორებები 2011 წლის დეკემბერში იქნა შეტანილი, გარკვეული რაოდენობის მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული, რომლებიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისიის) მიერ მანამდე იქნა გაცემული[3]. არჩევნებში მონაწილეობის უფლება პატიმრებს პირველად მიეცათ (ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულები), დამოუკიდებელ კანდიდატებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ასევე პირველად მიეცათ, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს შეესაბამება. ახალი დებულებების შედეგად ასევე შემცირდა ქვეყანაში ცხოვრების ცენზი და მხარდამჭერთა ხელმოწერების

---

[2] კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, საარჩევნო კოდექსი, კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ და სისხლის სამართლის კოდექსი მიღებული იქნა ან მათში შესწორებები განხორციელდა 2011 წლის დეკემბერში და 2012 წლის მაისში და ივნისში. იხილეთ ევროპული კომისიის დემოკრატიისათვის კანონის მეშვეობით (ვენეციის კომისიის) „საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსი“ (CDL-AD (2002) 23 rev), გვ. 26

[3] 2011 წლის 19 დეკემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა და ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნეს „საერთო დასკვნა საარჩევნო კოდექსის პროექტზე“ (საერთო დასკვნა), რომლის ხილვაც შემდეგ ინტერნეტ მისამართზეა შესაძლებელი: www.osce.org/odihr/86401

რაოდენობა, შემოღებული იქნა ნებაყოფლობითი გენდერული კვოტა კანდიდატების სიებისთვის და გარკვეული შეზღუდვები ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე.

თუმცა სხვა მნიშვნელოვანი რეკომენდაციების გათვალისწინება არ მომხდარა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებს შორის მოსახლეობის რაოდენობის მხრივ არსებული დიდი განსხვავებები, რაც ძირს უთხრის არჩევანის თანასწორუფლებიანობის პრინციპს, რომელიც 1990 წელს ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.3-ე პარაგრაფის მიერ არის განსაზღვრული. ამომრჩეველთა რაოდენობა ინდივიდუალურ საარჩევნო ოლქებში 6,000-დან 140,000-მდე მერყეობდა.

გარდა ამისა კანონმდებლობაში რჩება ისეთი დებულებები, რომლებიც პოლიტიკურ საჯარო ოფიციალურ პირებს საკუთარი წინასაარჩევნო აქტივობების და მათი ოფიციალური მოვალეობების შესრულების შერევის საშუალებას აძლევს; დებულებები ასევე შესაძლებელს ხდის საარჩევნო მიზნებისთვის გარკვეული ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას, კონკრეტულად კი სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული შენობების გამოყენებას იმ პირობით თუ ამ რესურსებზე ყველა საარჩევნო სუბიექტს თანაბარი წვდომა ექნებათ. პრაქტიკაში ამგვარი თანასწორობა შეიძლება იქნას დარღვეული რადგან მთავრობაში მყოფ პარტიებისთვის ამგვარი რესურსები უფრო ხელმისაწვდომია[4]. საარჩევნო სუბიექტები არჩევნების შემდეგ დისკვალიფიკაციის რისკის ქვეშ არიან საარჩევნო კამპანიის გარკვეული დარღვევების გამო, რომლებიც ამომრჩევლების მოსყიდვასთან, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენებასთან არის დაკავშირებული, დისკვალიფიკაცია ასევე შესაძლებელია თუ საარჩევნო სუბიექტი არჩევნების შემდეგ არ გაივლის შემოწმებას ნარკოტიკებზე მანამ სანამ იგი მის მიერ მოპოვებულ საპარლამენტო ადგილზე ოფიციალურად არ იქნება დამტკიცებული. აღნიშნული სანქციები ეწინააღმდეგებიან ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს[5].

საკანონმდებლო ბაზაში გარკვეული ცვლილებები 2011 წლის 19 დეკემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ „ერთობლივი დასკვნის“ გამოქვეყნების შემდეგ იქნა შეტანილი. კანდიდატების მინიმალური ასაკი 25-დან 21 წლამდე იქნა დაწეული, ხოლო კონსტიტუციაში ბატონ ივანიშვილზე მორგებული ცვლილებები შევიდა, რომლებიც მას საშუალებას აძლევს არჩევნებში ხმა მისცეს და იყოს არჩეული მას

[4] „ერთობლივი დასკვნა“, პარაგრაფი 60

[5] 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.9-ე პარაგრაფის მიხედვით ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა „უნდა უზრუნველყონ რომ ის კანდიდატები, რომლებიც მოიპოვებენ ხმათა აუცილებელ რაოდენობას, დამტკიცდნენ მოპოვებულ თანამდებობაზე და დარჩნენ ამ თანამდებობაზე მანამ სანამ მათი ამ თანამდებობაზე ყოფნის ვადა არ ამოიწურება (...)“

შემდეგ რაც მან დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა. გარდა ამისა ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ნებისმიერ პარტიას ან ბლოკს რომელიც 5 პროცენტიან ბარიერს გადალახავს მაგრამ იღებს ექვს ადგილზე ნაკლებს (საპარალამენტო ფრაქციის შესაქმნელად მინიმუმ 6 დეპუტატია საჭირო) საშუალება ეძლევა მიიღონ დამატებითი საპარლამენტო ადგილები რათა მათ საპარლამენტო ფრაქციების ჩამოყალიბება შეძლონ. ამის შედეგად მანდატები სხვა გამარჯვებულ საარჩევნო სუბიექტებს შეიძლება გამოექვითოთ[6].

საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება მოხდა სამ დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო საარჩევნო კომისიისგან და 3,655 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. გარდა ამისა სამხედრო ნაწილებში, საავადმყოფოებში, წინასწარი დაკავების იზოლატორებში და ციხეებში 71 სპეციალური საარჩევნო უბანი შეიქმნა; 45 საარჩევნო უბანი იქნა შექმნილი უცხოეთის ქვეყნებში მდებარე საკონსულოებში და ორი საარჩევნო უბანი შეიქმნა ქართველი სამხედროებისთვის, რომლებიც ავღანეთში მსახურობენ[7].

ყველა დონეზე საარჩევნო კომისიები 13 წევრისგან შედგება, აქედან 7 წევრი სახელდება კვალიფიცირებული პოლიტიკური პარტიების მიერ (სახელმწიფო დაფინანსების მიღებისთვის კვალიფიცირებული პოლიტიკური სუბიექტები). ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხუთი წევრი პარლამენტის მიერ ინიშნება, ხოლო ცესკოს თავმჯდომარის შესარჩევად დამატებითი პროცედურები მოქმედებს. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების დანარჩენი ექვსი წევრი (პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული 7 წევრის გარდა) უფრო მაღალი საარჩევნო კომისიების მიერ ინიშნება. კომისიების ექვს დანიშნულ წევრს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთან ერთად შეეძლოთ ეკონტროლებიათ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და მათ ყველა დონის საარჩევნო კომისიებში *დე ფაქტო* უმრავლესობა გააჩდათ. საარჩევნო ადმინისტრაციაში ქალები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი, ცესკოს წევრებიდან მხოლოდ ერთი იყო ქალბატონი. საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე იმ დროს როდესაც ქალები მუდმივი წევრების 44 პროცენტს შეადგენდნენ 73 საოლქო საარჩევნო კომისიიდან მხოლოდ 15-ს ჰყავდა ქალი თავმჯდომარე და 47 ქალი მდივანი.

---

6 იხილეთ კონსტიტუციის 50.2-ე მუხლი და საარჩევნო კოდექსის 125.7-6-ე მუხლი

7 რუსეთის ფედერაციაში არცერთი საარჩევნო უბანი არ გახსნილა რადგან ქვეყნებს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები.

ახალი საარჩევნო კოდექსის ფარგლებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომპეტენცია შევიწროვდა. ამომრჩეველთა სიების სიზუსტეზე მედია და საარჩევნო დაფინანსების რეგულაციების მონიტორინგზე სხვა ინსტიტუტები არიან პასუხისმგებლები. აქედან გამომდინარე ცენტრალური საარჩევნო კომისია ფოკუსირებას უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრირებაზე ახდენს, რასაც ის კომპეტენტურად და პროფესიონალურად აკეთებს. ცესკო ეფექტურად და გამჭირვალედ მოქმედებდა, ტარდებოდა ხშირი შეხვედრები, რომლებიც ღია იყო დამკვირვებლებისთვის, პარტიების და მედიის წარმომადგენლებისთვის, ცესკოს ყველა გადაწყვეტილება ოპერატიულად ქვეყნდებოდა მის ვებსაიტზე. ცესკოს გადაწყვეტილებებს ხშირად წინ ენერგიული და არგუმენტებით დატვირთული განხილვები უძღვოდა, რომლებშიც ზოგადად პოლარიზებული პოლიტიკური გარემო ჩანდა. ხანდახან ოპოზიციური პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრების მიერ გარკვეული საკითხების დღის წესრიგში დაყენებასთან დაკავშირებული თხოვნების განხილვა გაურკვეველი ვადით ყოვნდებოდა ხოლმე[8].

მთლიანობაში საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა ჰქონდა და იგი არჩევნების მზადების პროცესს პროფესიონალურად და ყველა ვადის დაცვით წარუძღვა. არჩევნების დღემდე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ცვლილება საკმაოდ ხშირად ხდებოდა. ბევრ შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრებმა, რომლებიც პოლიტიკური პარტიების მიერ იყვნენ დასახელებული, არ იყვნენ ინფორმირებული ამის შესახებ და არ უნდოდათ რა აეღოთ ეს პასუხისმგებლობა თავის თავზე ისინი კომისიის წევრობიდან გადადგომას არჩევნდნენ[9]. ცესკომ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიები ჩაატარა, რომლებიც საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტს ეხებოდა. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ყველა წევრმა ყოვლისმომცველი მომზადება ცესკოს ტრეინინგ ცენტრში გაიარა. მთლიანობაში მომზადებულმა სატრეინინგო და საინფორმაციო მასალებმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის აზრით ხელი შეუწყო საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიონალიზმის ზრდას.

---

8 ცესკოში ქართული ოცნების წარმომადგენელმა მოითხოვა არჩევნების დღეს საჩივრების შეტანის საბოლოო ვადების საკითხის დღის წესრიგში შეტანა; ცესკოს სხდომა, 14 სექტემბერი; კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა ცესკოში მოითხოვა სამხედრო პერსონალის მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის მიზანშეწონილობის საკითხის შეტანა დღის წესრიგში; ცესკოს შეხვედრა 18 სექტემბერი.

9 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით რამოდენიმე ოლქში პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა თანამდებობები დატოვეს. ყველაზე მეტი შემთხვევა იყო ქუთაისში (131 საუბნო საარჩევნო კომისია) სადაც საუბნო საარჩევნო კომისიებში 405 წევრის გამოცვლა მოხდა, მათ შორის 218 ქართული ოცნების, 136 ქრისიტიან დემოკრატიული გაერთიანების, 40 ლეიბორისტული პარტიის და 11 ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ. ,

გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა 27 სპეციალური საარჩევნო უბნის გახსნასთან დაკავშირებით, რომლებიც უსაფრთხოების ძალებისთვის მათ ყაზარმებში გაიხსნა[10]. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, სამხედროებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ როგორც პროპორციულ ისე მაჟორიტარულ არჩევნებში მათი სამსახურის ადგილის მიხედვით, მათი რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად[11]. ქართულმა ოცნებამ შესაბამის საოლქო სარჩევნო კომისიებში 17 საჩივარი შეიტანა და განაცხადა რომ აღნიშნული საარჩევნო უბნები მაჟორიტარულ არჩევნებზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ საარჩევნო სურათის შეცვლის მიზნით შეიქმნა იმ რეგიონებში სადაც ამომრჩეველთა მცირე რაოდენობა ირიცხებოდა, მაგალითად მესტიაში. ქართული ოცნების ყველა საჩივარი იქნა განხილული და უარყოფილი. უწყებათშორისმა კომისიამ მოგვიანებით გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც 1 ივლისის შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულებმა ხმა ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებში უნდა მისცენ[12].

24 სექტემბერს ცესკოს დადგენილებით არჩევნების დღეს საარჩევნო უბნებზე ფოტო და ვიდეო გადაღების შეზღუდვა მოხდა. ეს გადაწყვეტილება მკაცრად იქნა გაკრიტიკებული ოპოზიციური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების და მედია საშუალებების მიერ საარჩევნო პროცესის გამჭირვალეობის შემცირების გამო. სამოქალაქო საზოგადოების სახელით გაკეთებული მიმართვა ამ დადგენილების გაუქმების თაობაზე არ იქნა დაკმაყოფილებული

ამომრჩევლების რეგისტრაცია

ახალი საარჩევნო კოდექსის მიხედვით ამომრჩეველთა სიების გადამოწმებაზე და შედგენაზე პასუხისმგებელია ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია. ამ კომისიის თავმჯდომარეა ოპოზიციური პარტიის „ახალი მემარჯვენეების“ წევრი. ივნისში და ივლისში კომისიამ ამომრჩეველთა მონაცემები კარდაკარის მეშვეობით გადაამოწმა. 28 აგვისტოდან დაწყებული ხდებოდა ამომრჩეველთა წინასწარი სიების საარჩევნო უბნებზე გამოქვეყნება რათა

---

[10] ამ რიცხვში შედიოდა 29,661 სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. სპეციალური საარჩევნო უბნები შეიქმნა იმ ადგილებში სადაც ამომრჩეველთა სპეციალურ სიებში 50 ან მეტი სამხედრო ამომრჩეველი იყო შეყვანილი. თუ კონკრეტულ ადგილას 50-ზე ნაკლები სამხედრო იყო შეყვანილი სპეციალურ სიებში მაშინ ისინი ხმას აძლევდნენ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით, რომლებიც შესაბამისი ჩვეულებრივი საარჩევნო უბნებიდან იყო გამოგზავნილი.

[11] ხმების დათვლის და შეჯამებისთვის ყველა სპეციალური საარჩევნო უბანი ჩვეულებრივ საარჩევნო უბნებზე იქნა მიმაგრებული.

[12] იხილეთ უწყებათშორისი კომისიის მიერ 2012 წლის 21 სექტემბერს გაცემული რეკომენდაცია.

მოსახლეობას მათი გადამოწმების საშუალება ჰქონოდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით ამ სიებში საკუთარი მონაცემების შემოწმება და განახლება ამომრჩეველთა მცირე რაოდენობამ მოახდინა. 29 სექტემბერს ცესკომ გამოაცხადა რომ ამომრჩეველთა საბოლოო სიებში 3,613,851 რეგისტრირებული ამომრჩეველი ირიცხებოდა.

მთლიანობაში ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის და პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ამომრჩეველთა სიების გადამოწმებასთან დაკავშირებულმა საქმიანობამ საზოგადოების მხრიდან ამომრჩეველთა სიების ხარისხის მიმართ ნდობა გაზარდა. ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით რამოდენიმე საჩივარი იქნა შეტანილი. თუმცა ამ სიების სიზუსტეზე გარკვეულმა პრობლემებმა მაინც იქონიეს ზეგავლენა. სამოქალაქო რეესტრს რომლის მონაცემების საფუძველზე დგება ამომრჩეველთა სიები ჯერ კიდევ არ აქვს ყოვლისმომცველი და ერთიანი მისამართების სისტემა და მისამართებთან და სამოქალაქო სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაცია.

უცხოეთში მყოფ მოქალაქეებს საკონსულოებში გახსნილ საარჩევნო უბნებში რეგისტრაციის გავლის უფლება ჰქონდათ იმისდა მიუხედავად იყვნენ თუ არა ისინი საკონსულოს რეესტრში შეყვანილი. საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკმარისად არ მოუხედნიათ საკუთარი ძალისხმევის კოორდინირება და არ მიუწოდებიათ პოტენციური ამომრჩევლებისთვის დროული და ზუსტი ინფორმაცია შესაბამისი პროცედურების და უცხოეთში არჩევნებზე რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ[13]. უცხოეთში მცხოვრები მოქალაქეების ორგანიზაციების და ოპოზიციური პარტიების კრიტიკის შედეგად ცესკომ გადასწია უცხოეთში რეგისტრაციის საბოლოო ვადა და საზღვარგარეთ ხუთი დამატებითი საარჩევნო უბანი გახსნა[14].

პარტიების და კანდიდატების რეგისტრაცია

[13] საგარეო საქმეთა სამინისტრომ საელჩოებში საკონსულოებში რეგისტრაციის გავლის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, ხოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. მხოლოდ 10 სექტემბერს როდესაც ცესკომ რეგისტრაციის საბოლოო ვადა გადასწია საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ უნდა მომხდარიყო არჩევნებზე რეგისტრაცია. საკონსულოებში რეგისტრაციის მისაღებად საჭირო განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომი იყო თუმცა უცხოეთში არჩევნებზე რეგისტრაციისთვის საჭირო განაცხადი არ იყო გამოქვეყნებული.

[14] ამ დამატებითი პერიოდის დროს რეგისტრაცია 786-მა ამომრჩეველმა გაიარა, იმ დროს როდესაც მანამდე 10 დღის განმავლობაში რეგისტრაცია 1,409 ამომრჩეველმა გაიარა.

2,742 კანდიდატის, მათ შორის პროპორციული სიებიდან 2,313 კანდიდატის და 429 მაჟორიტარი კანდიდატის რეგისტრაციამ ამომრჩევლებს ფართო არჩევანი შესთავაზა. მთლიანობაში ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 14-მა პოლიტიკურმა პარტიამ და 2-მა საარჩევნო ბლოკმა, რომლებშიც 8 პარტია შედიოდა, გარდა ამისა არჩევნებში ოთხმა დამოუკიდებელმა კანდიდატმაც მიიღო მონაწილეობა. რეგისტრაციის პროცესი გამჭირვალე და ინკლუზიური იყო[15]. პროპორციულ სიებში 729 ხოლო მაჟორიტარ კანდიდატებს შორის 59 ქალი კანდიდატი იყო რეგისტრირებული, მათი საერთო რაოდენობა ამ არჩევნებზე მონაწილე კანდიდატების 28.74 პროცენტს შეადგენდა. თექვსმეტი საარჩევნო სუბიექტიდან მხოლოდ ექვსმა სუბიექტმა შეძლო ნებაყოფლობითი კვოტის შესრულება, ამ კვოტის მიხედვით კონკრეტულ პარტიას სახელმწიფო დაფინანსების 10 პროცენტით მომატება ეკუთვნის თუ მის პროპორციულ საარჩევნო სიებში ყოველი 10 კანდიდატიდან 2 ქალი იქნება[16].

მანამდე საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას გარკვეული პრობლემა წარმოიშვა ქართული ოცნებისთვის საარჩევნო ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად ქართულმა ოცნებამ ჩათვალა რომ ის შეძლებდა მის საარჩევნო ბლოკში შემავალი ერთ-ერთი პარტიის მიერ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამოყენებული საარჩევნო ნომრის შენარჩუნებას. ცესკომ ქართულ ოცნებას სხვა საარჩევნო ნომერი მიანიჭა. მიუხედავად იმისა რომ ახალი საარჩევნო ნომრის მინიჭებამ ქართული ოცნების მიერ წინა საარჩევნო ნომრის გამოყენებით დაბეჭდილი საკმაოდ დიდი რაოდენობის საარჩევნო მასალები გამოუსადეგარი გახადა ცესკოს გადაწყვეტილება საარჩევნო კოდექსს და მის მიერ 2004 და 2008 წლებში მსგავს შემთხვევებში გამოყენებულ მიდგომას შეესაბამებოდა. ქართულ ოცნებას ცესკოს ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი არ შეუტანია.

საარჩევნო კამპანიის გარემო

საარჩევნო კამპანია კონკურენტული იყო და მოქალაქეები მასში აქტიურად მონაწილეობდნენ მათ შორის მშვიდობიანი ფართომასშტაბიანი მიტინგების სახით. თუმცა საარჩევნო გარემო პოლარიზებული და დაძაბული იყო, მას მკვეთრი რიტორიკის და ზოგ შემთხვევაში ძალადობის გამოყენება ახასიათებდა. საარჩევნო კამპანია ხშირად კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმის წარმოჩენის მაგივრად

[15] კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საჩივარი ქვეყანაში ცხოვრებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მხარდამჭერთა ხელმოწერებს და პოლიტიკური პარტიის სახელის რეგისტრაციას ეხებოდა.

[16] არც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და არც ქართულ ოცნებას არ შეუსრულებია აღნიშნული კვოტა. პროპორციული სისტემით ქართულმა ოცნებამ 200 კანდიდატიდან სიაში 33 ქალი შეიყვანა ხოლო ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 155 კანდიდატიდან სიაში 17 ქალი შეიყვანა.

ერთის მხრივ თანამდებობის და მეორეს მხრივ კერძო ფინანსური რესურსების გამოყენებაზე ფოკუსირდებოდა.

გაერთიანებების, შეკრების და გამოხატვის თავისუფლება მთლიანობაში პატივცემული იყო, თუმცა პარტიული აქტივისტების დაშინების და შევიწროების შემთხვევები, განსაკუთრებით არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად, საარჩევნო გარემოს აფუჭებდა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების მხარდამჭერებს შორის სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებას ბევრჯერ ჰქონდა ადგილი, ასევე ადგილი ჰქონდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების მიერ კონკურენტების საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში ხელის შეშლის ფაქტებს[17], იყო რამონდენიმე შემთხვევა როდესაც პარტიული ოფისების მიმართ ვანდალიზმის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი[18].

მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ვრცელდებოდა ინფორმაციები პოლიტიკური აქტივისტების, ძირითადად ქართული ოცნების წარმომადგენლების, დაკავების და დაპატიმრების შესახებ. არჩევნებამდე რამოდენიმე დღით ადრე ამგვარი ინფორმაციები კიდევ უფრო გახშირდა. ქართული ოცნების მონაცემებით ამ პერიოდში მოხდა მათი 60-ზე მეტი აქტივისტის დაპატიმრება, რაც მათი აზრით მათი საარჩევნო კამპანიის პარალიზების შეგნებული მცდელობა იყო[19]. უწყებათშორისმა კომისიამ განიხილა აღნიშნული ბრალდებები და დაადასტურა რომ 44 შემთხვევაში მოხდა ადმინისტრაციული დაკავება და ძალადობის და მუქარის ფაქტებთან დაკავშირებით დამატებითი ჯარიმების დაკისრება. სხვა პარტიების მხარდამჭერთა და აქტივისტთა დაკავების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევაში იქნა გაჟღერებული. დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო უწყებათშორისმა კომისიამ სამართალდამცავ ორგანოებს გონივრული და ნაკლებად მკაცრი სანქციების გამოყენებისკენ მოუწოდა[20]. უწყებათშორისი კომისიის განცხადებით მისი მოწოდების შემდეგ საარჩევნო კამპანიაში მონაწილე აქტივისტების დაკავების ფაქტებმა საგრძნობლად იკლო.

18 სექტემბერს საარჩევნო კამპანიის მიმართულება შეიცვალა მას შემდეგ რაც ტელევიზიით თბილისის ერთ-ერთ ციხეში პატიმრების წამების კადრები

---

17 26 სექტემბერს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ შეამჩნია თუ როგორ უშლიდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები სიღნაღის ცენტრალურ მოედანზე ქართული ოცნების მიტინგის ჩატარებას ხელს.

18 ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით ჭიათურაში მათ ოფისებზე მოხდა თავდასხმა. ქართული ოცნების განცხადებით ნიკორწმინდაში, ჭრებალოში და ფოთში მათ ოფისების მიმართ ვანდალიზმის ფაქტებს ჰქონდა ადგილი.

19 25 სექტემბერს ქართული ოცნებისგან მიღებული ინფორმაცია.

20 უწყებათშორისი კომისიის თავმჯდომარის 25 სექტემბრის განცხადება.

გავრცელდა. ამან მთელი ქვეყნის მასშტაბით მიტინგები და ორი მინისტრის მიერ საკუთარი პოსტების დატოვება გამოიწვია. ოპოზიციური პარტიები მოგვიანებით შეუერთდნენ ამ საპროტესტო გამოსვლებს და გააძლიერეს მმართველი პარტიის კრიტიკა, ოპოზიციური პარტიების რამოდენიმე კანდიდატმა თავისი კანდიდატურა მოხსნა და ქართულ ოცნებას გამოუცხადა მხარდაჭერა. იმ დროს როცა პრეზიდენტი სააკაშვილი მუდმივად აცხადებდა რომ არჩევნები მთავრობის და მმართველი პარტიის მიღწევების შესახებ რეფერენდუმი იქნებოდა ქართული ოცნება პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდებდა და ამომრჩევლებს საკუთარი უკმაყოფილების საარჩევნო ყუთებთან და არა ქუჩებში გამოხატვას სთხოვდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ აღნიშნა რომ სახელმწიფო საქმიანობასა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კამპანიას შორის განსხვავება ხანდახან წაშლილი იყო, რაც ხელს უწყობდა კამპანიის მიმდინარეობისას გარკვეულ არათანასწორობას, რაც ეწინააღმდეგებოდა 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4-ე პარაგრაფის მოთხოვნებს[21]. ზოგჯერ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს საჯარო ადგილებზე და ტრანსპორტზე უფრო უპირატესი წვდომა ჰქონდათ[22]. ასევე იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატების ოფისები მუნიციპალიტეტის შენობებში ჰქონდათ განთავსებული[23]. მუნიციპალიტეტების რამოდენიმე თანამშრომელი დაჯარიმებული იქნა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერად სამთავრობო ოფისებში კამპანიების გამართვის გამო[24].

---

21 5.4-ე პარაგრაფი „სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ნათელ განცალკევებას“ მოითხოვს.

22 მაგალითად: 14 სექტემბერს უწყებათშორისმა კომისიამ რუსთავის ერთ-ერთი სკოლის დირექტორის სამსახურიდან განთავისუფლების რეკომენდაცია გასცა რადგან ამ პიროვნებამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარობის კანდიდატს სკოლაში მასწავლებლებთან შეხვედრის ნება დართო, მაგრამ ქართული ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატისგან მსგავსი შეხვედრის ჩატარების მოთხოვნა პასუხგაუცემელი დატოვა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით ქუთაისში გამართული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ფართომასშტაბიან მიტინგზე მონაწილეობის მისაღებად მხარდამჭერები ნიკეადან და სამტრედიიდან (იმერეთი) იყვნენ ჩამოყვანილი, ამისთვის კი შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული ტრანსპორტი იქნა გამოყენებული, ხოლო 28 სექტემბერს თბილისიდან დაახლოებით 200 მუნიციპალური მინიავტობუსი იქნა გამოძახებული რუსთავში რათა მომხდარიყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დასკვნით შეკრებაზე მხარდამჭერების გადაყვანა.

23 ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისები თბილისში (სამგორის რაიონში) და ქუთაისში საჯარო დაწესებულებების შენობებში იყო განთავსებული.

24 სახელმწიფო სამსახურის განვითარების სააგენტოს მარკეტინგის განყოფილების უფროსის მოადგილე დაჯარიმებული იქნა ამ სააგენტოს სარეკლამო ვიდეო კლიპის ჩვენებისთვის, რომელშიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ფიგურირებდა; ასევე მოხდა საჯარო სამსახურში დასაქმებული თანამშრომლების დაჯარიმება ერთიანი ნაციონალური

გარდა ამისა რამოდენიმე შემთხვევაში მუნიციპალიტეტის და საჯარო სამსახურების ვებსაიტები მმართველი პარტიის გზავნილების გამოსაქვეყნებლად იქნა გამოყენებული[25].

უწყებათშორისი კომისია, რომელიც შედგებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი რანგის ოფიციალური პირებისგან და რომელსაც საჯარო მოხელეების მიერ დარღვევების თაობაზე საჩივრების და ბრალდებების განხილვა ევალებოდა, სასარგებლო ფორუმი გამოდგა დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი პრობლემების განხილვისთვის. კომისიამ პროაქტიული როლი შეასრულა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული დარღვევების შესაჩერებლად, რისთვისაც მან 12 რეკომენდაცია გასცა. რამოდენიმე შემთხვევაში უწყებათშორისმა კომისიამ ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს, მათ შორის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მოუწოდა სანქციები გამოეყენებიათ იმ პირების მიმართ ვინც აღნიშნულ დარღვევებში იყო მხილებული. უწყებათშორისმა კომისიამ არასავალდებულო რეკომენდაციები გასცა, რომლებიც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ დროულად იყო განხორციელებული. ზოგ შემთხვევაში ამან უწყებათშორისი კომისიის ძალაუფლების რეალური მასშტაბების შესახებ გარკვეული კითხვები წარმოშვა[26].

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების უმრავლესობა მცირემასშტაბიან შეხვედრებს სოფლებში და ადგილობრივ თემებში ატარებდა. მხოლოდ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, ქართულმა ოცნებამ და გარკვეული მასშტაბით ქრისტიან-დემოკრატიულმა გაერთიანებამ მოახდინეს ფართომასშტაბიანი მიტინგების და საარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება. მართალია თავიდან ბილბორდების და პოსტერების გამოყენება შედარებით ნაკლებად ხდებოდა, მაგრამ სექტემბრის მეორე კვირიდან დაწყებული ამ საშუალებების გამოყენების მასშტაბები გაიზარდა. ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა შეასრულეს უწყებათშორისი კომისიის რეკომენდაცია პოსტერებისთვის დამატებითი სივრცის გამოყოფის თაობაზე ხოლო ორმა მთავარმა სარეკლამო კომპანიამ ბილბორდებისთვის მეტი ადგილი გამოყო და არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის ფასდაკლება დააწესა.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსება

მოძრაობის საარჩევნო მასალის გურჯაანის და ჩალაუბნის მუნიციპალიტეტის შენობებში გამოკვრის გამო.

25 მათ შორის ახალქალაქში, ახმეტაში, ბოლნისში, დუშეთში, დმანისში, ლანჩხუთში, მარტვილში, მესტიაში, სენაკში, სვანეთში, წალენჯიხაში, ზუგდიდში და სვანეთში.

26 მაგალითად უწყებათშორისი კომისიის #8-ე რეკომენდაციის შემდეგ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულება შეაჩერა

საარჩევნო კამპანის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციები ყოვლისმომცველი მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შესაქმნელად იქნა შედგენილი[27]. თუმცა ზოგიერთი დებულება კვლავ ორაზროვანი და არათანმიმდევრულია. კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და საარჩევნო კოდექსი პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიის საჯარო და კერძო დაფინანსებას არეგულირებს, იგი კამპანიაზე გასაწევი ხარჯების ლიმიტს, ანგარიშგებასთან და ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და დარღვევებისთვის სანქციებს აწესებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ამ სფეროზე ზედამხედველობის მანდატი გააჩნია. კანონით სახელმწიფო აუდიტის სამსახური დამოუკიდებელი ორგანოა, თუმცა მისი დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის შესახებ აღქმას მისი მენეჯმენტის პოლიტიკური კავშირები უთხრის ძირს[28].

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ფართო დისკრეციული უფლებამოსილებები გააჩნია და 40 შემთხვევაში, რომლებიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ იქნა შესწავლილი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აღნიშნული ძალაუფლება ოპოზიციური პარტიების და მათი დამფინანსებლების წინააღმდეგ არაპროპორციულად გამოიყენა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 100-ზე მეტი ფიზიკური და იურიდიული პირის საქმე გამოიძია, რომლებმაც თანხები ქართულ ოცნებას შესწირეს; მათგან 68 სასამართლოს მიერ იქნა დაჯარიმებული. ამასგან განსხვავებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხოლოდ 10 შემომწირველის საქმე იქნა განხილული და აქედან 8 დაჯარიმებული[29], თუმცა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის შეწირული თანხების საერთო რაოდენობა 6.5-ჯერ მეტი იყო ვიდრე ქართული ოცნებისთვის შეწირული თანხების რაოდენობა. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ სულ 978 შემოწირულობა მიიღო, რომელთა საერთო რაოდენობა 20,701,268 ლარს შეადგენდა, იმ დროს როცა ქართული

---

27 ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2003 წელი) 4 http://www.coe.int/dghl/monitoring/greco/general/Rec(2003)4_EN.pdf და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი და ვენეციის კომისია: სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ 2011 წელი.

28 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ამჟამინდელი უფროსი 2012 წლის 23 ივლისამდე პარლამენტის წევრი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. როგორც ყოფილი უფროსი ისე მისი მოადგილე თანამდებობიდან არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით მონაწილეობის მისაღებად გადადგნენ.

29 ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მათი მხარდამჭერების დაჯარიმების მცირე რაოდენობა საკუთარი პოლიტიკით ახსნა, რომლის მიხედვითაც იგი წინასწარ აფრთხილებს საკუთარ მხარდამჭერებს თუ რა რაოდენობის შემოწირულობის გაკეთება შეუძლიათ მათი საგადასახადო დეკლარაციების საფუძველზე.

ოცნების კოალიციაში შემავალმა პარტიებმა სულ 1,433 შემოწირულობა მიიღეს, რომელთა საერთო ოდენობა 3,440,712 ლარს შეადგენდა[30].

რამოდენიმე იურიდიულმა პირმა, რომლებიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და სასამართლოს შეფასებით ქართულ ოცნებასთან და მის ლიდერთან იყვნენ დაკავშირებული, ქართულ ოცნებას გარკვეული მომსახურება გაუწიეს, მაგალითად მათ კოალიციას მიაქირავეს ოფისები, ტრანსპორტი და გაუწიეს პოლიგრაფიული მომსახურება. აღნიშნული მომსახურების ფასები მიმდინარე საბაზრო ფასებთან შეუსაბამოდ და შესაბამისად უკანონო შემოწირულობად ჩაითვალა (სულ მათი ოდენობა 2,847,908 ლარად იქნა შეფასებული)[31]. ბატონი ივანიშვილი და ბატონი კალაძე დაჯარიმდნენ როგორც „საარჩევნო მიზნების მქონე პირები“ ქართული ოცნებისთვის შემოწირულობების გაკეთებისთვის, რომელთა საერთო ოდენობა 22,575,367 ლარს შეადგენდა. როგორც ჩანს „საარჩევნო მიზნების მქონე“ პირის სტატუსის გამოყენება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალური გადაწყვეტილების საფუძველზე არ მომხდარა[32].

პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა საკუთარი შემოსავლის და ხარჯების შესახებ ანგარიშები სახელმწიფო აუდიტის სამსახურში დროზე წარადგინეს, ამ ანგარიშების წარდგენა აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტული ფორმის მეშვეობით მოხდა. თუმცა კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ამ ანგარიშების გამოქვეყნებას რაც სრული გამჭირვალეობის უზრუნველყოფას ხელს უშლის. მართალია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ევალება წარმოდგენილი ანგარიშების სისრულის, სიზუსტის და მათი იურიდიულად გამართულობის შემოწმება მას ამ ანგარიშების გამოქვეყნების არანაირი იურიდიული ვალდებულება არ გააჩნია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გამოძიება ძირითადად უფრო ინდივიდუალურ შემომწირველებზე ფოკუსირდებოდა ვიდრე პოლიტიკურ პარტიებზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოწმის სტატუსით 200-ზე მეტი პირი გამოიძახა ახსნა-განმარტებების მისაცემად საარჩევნო კამპანიის სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებულ საქმეებზე[33]. ზოგჯერ ამ ადამიანების მიმართ გამოძიება შესაბამისი პროცედურების სრული დაცვით არ მიმდინარეობდა და დაშინების მანერით გამოირჩეოდა რასაც სხვა პოტენციური შემომწირველების მიერ შემოწირულობების გაკეთებისგან თავის შეკავება შეიძლებოდა

30 (1 ევრო დაახლოებით 2 ლარს უდრის); იხილეთ http://sao.ge/?action=news&npid=277&lang=eng

31 http://sao.ge/?action=pdf_archive&p_id=279&lang=geo

32 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა გამოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილება თუმცა ის ჯერ არ მიუღია.

33 ისეთ შემთხვევებში როგორებიცაა გლობალ ტივი, ფონდი ქომაგი და ქართული ფეხბურთის გულშემატკივარი.

მოჰყოლოდა[34]. მართალია პოლიტიკური დაფინანსების გამჭირვალეობა და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს, მაგრამ მოქალაქეებს პოლიტიკაში ჩართულობაში ხელი არ უნდა შეეშალოთ, მათ შორის მათთვის სასურველი პოლიტიკური პარტიისთვის ან კანდიდატისთვის ფულადი თუ სხვა სახის შემოწირულობის გაკეთების კუთხითაც, გარდა ამისა მათი პირადი ცხოვრების და მონაცემების დაცვის უფლება არ უნდა იქნას დარღვეული[35].

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკუთარი შიდა რეგულაციები ივლისში დაამტკიცა, ანუ მას შემდეგ რაც მის მიერ ბევრი გამოძიება უკვე ჩატარებული იყო. გარდა ამისა სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და სხვა ინსტიტუტებს შორის (მაგალითად სახელმწიფო შემოსავლების სამსახურთან და კომერციულ ბანკებთან) ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული რეგულაციების ნაკლებობის გამო, არათანმიმდევრული პრაქტიკის გატარების პოტენციალი იქნა შექმნილი. ამას ემატებოდა კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და სასამართლოებს ფართო დისკრეციას აძლევდა კონკრეტული დანაშაულის ჩადენის ალბათობის განსაზღვრისას, ასევე კონკრეტული შემოწირულობის „მართებულობის“ და შესაბამისად კანონიერების დადგენისას, გარდა ამისა აუდიტის სამსახურს თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს როდის და როგორ ჩაატარებს გამოძიებას. პრაქტიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური და სასამართლოები შემოწირულობებს უკანონოდ იმის საფუძველზე აცხადებდნენ რომ შემომწირველების ბოლო ორი წლის მანძილზე შედგენილი საგადასახადო ჩანაწერების შემოწმების შედეგად დგინდებოდა რომ „შემომწირველმა ვერ შეძლო შეწირული თანხების წარმომავლობის დადასტურება“. ამგვარი კრიტერიუმები არ არის კანონით გათვალისწინებული. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოძიებულ რამოდენიმე საქმეში, რომელიც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ იქნა შემოწმებული, სავარაუდო დარღვევა როგორც ჩანს არ იყო არსებითი[36].

უკანონო შემოწირულობებთან დაკავშირებულ ყველა საქმეში სასამართლოებმა შემომწირველებს ხუთმაგი ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრეს, რაც ხშირად

---

34 სახალხო დამცველის მიმართვა საქართველოს კონტროლის პალატისადმი (2012 წლის 15 მარტი) http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=1&id=1491

35 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვენეციის კომისიის *სახელმძღვანელო პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ 2011 წელი*, (პარაგრაფი 191. 194. 201) http://www.venice.coe.int/docs/2010/CDL(2010)073-e.pdf

36 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოძიებულ ქართული ოცნებისთვის შემოწირულობების საქმეებს შორის ერთ-ერთი საქმე ეხებოდა 100 ლარის ოდენობის შემოწირულობას ხოლო კიდევ ერთ შემთხვევაში ნატურით გაკეთებული შემოწირულობას, რომლის ღირებულება 10 ლარს უდრიდა.

მათი ქონების დაყადაღებით სრულდებოდა[37]. შემთხვევების უმრავლესობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შემოწირულობების მიმღები პოლიტიკური პარტიებისთვის სანქციები პირდაპირ არ დაუკისრებია და უკანონო შემოწირულობები არ გადაურიცხავს სახელმწიფო ბიუჯეტში ისე როგორც ამას კანონი ითხოვდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა რომ მათ ჯარიმების დაკისრება, მათ შორის საარჩევნო სუბიექტების დაჯარიმება, შეაჩერეს, რაც უწყებათშორისი კომისიის რეკომენდაციის შედეგად მოხდა. კანონთან შეუსაბამობის საქმეებში სანქციების დაკისრება არათანმიმდევრულად ხდებოდა, რაც კანონის აღსრულებისას ამ ორგანოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვებს ბადებდა და მის მიმართ საზოგადოების ნდობას ხელს უშლიდა.

მედია

მედია გარემო მრავალფეროვანი იყო, თუმცა ზოგიერთი კერძო ტელეარხის ქვეყნის შიგნით დაფარვის ზონა შეზღუდული იყო, რაც მოქალაქეებისთვის მრავალფეროვან ინფორმაციაზე სრულ ხელმისაწვდომობას ხელს უშლიდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგმა აჩვენა რომ მხოლოდ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ახდენდა საკუთარ ახალი ამბების გამოშვებებში საარჩევნო კამპანიის დაბალანსებულად გაშუქებას[38]. იმ დროს როცა რუსთავი 2 და იმედი ის ორი ტელეკომანიაა კერძო ტელეარხებს შორის რომელთა სიგნალიც ქვეყნის მთელს ტერიტორიას ფარავს, ისინი ძირითადად მთავრობის მხარდამჭერ ტელევიზიებად აღიქმებიან. სამი ოპოზიციისკენ გადახრილი კერძო ტელეარხის მაესტროს, კავკასიის და ახლახან აღდგენილი 9-ე არხის დაფარვის ზონა ძირითადად თბილისით არის შემოსაზღვრული, ისინი ასევე სატელიტურ მაუწყებლობას ახორციელებენ.

ივლისში საკაბელო არხი „შ.პ.ს. გლობალ კონტაქტ კონსალტინგი“ და ტელეკომპანია მაესტრო სატელიტური ქსელის გაფართოებას რესივერების დარიგების მეშვეობით შეეცადნენ. მაგრამ ორივე კომპანიის სატელიტური თეფშები და ტელეაღჭურვილობა სასამართლოს გადაწყვეტილებით დაყადაღებული იქნა „იმის საფუძველზე რომ ისინი ხმების მოსყიდვისთვის

---

37 მთლიანობაში 132,498,481 ლარის ოდენობის ჯარიმები იქნა დაკისრებული, მათ შორის ბატონ ივანიშვილს 20,243,827 ლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.

38 30 აგვისტოდან მოყოლებული ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი შემდეგი ტელეარხების პრაიმტაიმის მონიტორინგს ახორციელებდა: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხები, რუსთავი 2, იმედი, კავკასია, მაესტრო, 9-ე არხი დ აჭარა.

იყვნენ განკუთვნილი“[39]. ამის შედეგად დაახლოებით 128,000 სატელიტური თეფშის და 68,000 სატელიტური რესივერის დარიგების პროცესი შეჩერდა.

ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მედია საშუალებების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მზარდი კრიტიკის საპასუხოდ და ასევე მედიის ადვოკატირების ჯგუფებთან კონსულტაციების შედეგად ივნისში საარჩევნო კოდექსში Must Carry Must Offer-ის პრინციპი იქნა შეტანილი. ამ დებულების მიხედვით საკაბელო არხებს და სატელიტურ მაუწყებლებს საკუთარ პაკეტებში ყველა იმ ნაციონალური მედია საშუალების ჩართვა დაევალათ, რომლებსაც სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია გააჩნდათ და რომლებიც საკუთარი გავრცელების არეალში მოსახლეობის 20 პროცენტს ფარავდნენ. მეორეს მხრივ ტელეკომპანიებს უფლება არ აქვთ ამ საკაბელო არხებს მათი მაუწყებლობის ამ არხების პაკეტებში ჩასმა აუკრძალონ. მართალია ზოგადად ამ დებულებებმა ხელი შეუწყვეს ტელევიზიებს საკაბელო არხებში მათი სიგნალის გავრცელების გაზრდაში, თუმცა მათ ძირითადად ქალაქში მცხოვრები მოსახლეობა მოიცვეს[40]. კანონის მიხედვით აღნიშნული დებულების მოქმედება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში იყო სავალდებულო. არჩევნების დღეს საკაბელო კომპანიების უმრავლესობა აგრძელებდა იმ ტელეკომპანიების გადაცემების ტრანსლირებას, რომლებსაც ზემოდხსენებული დებულება შეეხო.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომელიც სამაუწყებლო მედიის მარეგულირებელი ორგანოა, საარჩევნო კოდექსის მედიასთან დაკავშირებული დებულებების განხორციელების ზედამხედველობა დაევალა, რაც ასევე გულისხმობდა ახალი ამბების და მიმდინარე მოვლენებისადმი მიძღვნილ გადაცემებში დაბალანსებული გაშუქების მონიტორინგს. მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით მის მონიტორინგს დაქვემდებარებული მედია საშუალებების უმრავლესობაში დაბალანსებული გაშუქება არ ხდებოდა. ეს ეწინააღმდეგება მაუწყებლობის შესახებ კანონს, რომლის მიხედვით მაუწყებლებმა ახალი ამბების გამოშვებებში ყველა შეხედულების არადისკრიმინაციულად და პლურალისტულად გაშუქება უნდა მოახდინონ[41]. თუმცა კომისიას არავითარი ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ სიტუაციის გამოსასწორებლად რადგან მას ამ მხრივ სანქციების დაწესების უფლება არ გააჩნია. კანონის მიხედვით ამგვარი საკითხები

---

39 იხილეთ 21 და 25 ივნისს მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებები (შ.პ.ს. გლობალი), 14 ივნისის სასამართლოს გადაწყვეტილება და 11 და 15 ივლისის ადმინისტრაციული ოქმები (შ.პ.ს. მაესტრო).

40 მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით ივნისისთვის საქართველოში საკაბელო ტელევიზიების მომხმარებელთა რაოდენობა დაახლოებით 194,000-ს შეადგენდა. ამათი უდიდესი ნაწილი 179,298 მომხმარებელი (92%) თბილისში ცხოვრობს.

41 იხილეთ მაუწყებლობის შესახებ კანონის 54-ე მუხლი. ამასთან ერთად მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მაუწყებლებს „კვალიფიცირებული საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო აქტივობების საფუძვლიან და დაბალანსებულ გაშუქებას“ სთხოვს.

მედია საშუალებების თვითრეგულირების ორგანოების მიერ უნდა იქნას გადაწყვეტილი. მედიის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ექვსი ტელეკომპანიის მიმართ მოვლენების მიკერძოებულად გაშუქების გამო შეტანილი საჩივრები ამ ტელეკომანიების თვითრეგულირების ორგანოების მიერ უარყოფილი იქნა, რადგან მათი აზრით აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია არ იყო „დაინტერესებული მხარე“ რადგან მისი უფლებების პირდაპირ დარღვევა არ ხდებოდა. ამ საჩივრის გარდა სხვა საჩივარი მედია საშუალებების წინააღმდეგ არსად არ ყოფილა შეტანილი. სამწუხაროა რომ საარჩევნო კამპანიის მიკერძოებულად გაშუქებასთან დაკავშირებულ საჩივრებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების გასაჩივრება, მათ შორის სასამართლოში, შეუძლებელია.

ყველა იმ ტელეკომპანიის ეთერში, რომელთა მონიტორინგსაც ახორციელებდა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია თოქ-შოუები და დებატები მრავლად და ხშირად გადაიცემოდა და კანდიდატებს ეძლეოდათ პლატფორმა საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად, რაც პოზიტიური მოვლენა იყო. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ არჩევნების ძირითადი მონაწილეების - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების საქმიანობა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ძირითადად პოზიტიურად და ნეიტრალურად იყო გაშუქებული (შესაბამისად 14 და 18 პროცენტი). საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა ასევე ფართოდ გააშუქა დანარჩენი შვიდი აქტიური პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, თითოეულ მათგანს 5-დან 12 პროცენტამდე საეთერო დრო დაეთმო და გაშუქების ტონი ძირითადად დადებითი იყო. ხელისუფლებისადმი მიძღვნილი სიუჟეტების რაოდენობა უმნიშვნელო იყო, პრეზიდენტს საეთერო დროის მხოლოდ 2 პროცენტი და მთავრობას საეთერო დროის 12 პროცენტი დაეთმო.

რუსთავი 2-მა და იმედმა ისევე როგორც რეგიონალურმა ტელეკომპანია აჭარამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ მიკერძოებულობის დემონსტრირება მოახდინეს. ამ სამ ტელეარხზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საქმიანობა ფართოდ იქნა გაშუქებული (შესაბამისად 27, 21 და 38 პროცენტი), ამ გაშუქების ტონი ძირითადად პოზიტიური იყო, ამავე დროს ქართული ოცნების საქმიანობის გაშუქებას ამ ტელეკომპანიების ეთერის შესაბამისად 19, 29 და 13 პროცენტი დაეთმო და გაშუქების ტონი ძირითადად ნეგატიური იყო. თავიანთ რეპორტაჟებში რუსთავი 2, იმედი და აჭარის ტელევიზია ხშირად განსხვავებას არ აკეთებდა მთავრობის ოფიციალური საქმიანობის და ოფიციალური პირების არჩევნებთან დაკავშირებულ გამოსვლებსა და საქმიანობებს შორის, რომლებიც ამავე დროს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მაღალი რანგის წევრები არიან,

რაც ირიბად მმართველი პარტიისთვის სარგებლის მომტანი ქმედება იყო[42]. მაგალითად ფართოდ ხდებოდა პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის გაშუქება მათი ოფიციალური თანამდებობების ფარგლებში მაშინაც კი როდესაც აშკარად საარჩევნო ღონისძიებებს ჰქონდა ადგილი, მაგალითად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების წარდგენისას.

მე-9 არხმა და მაესტრომ მათი საინფორმაციო გამოშვებების ყველაზე დიდი ნაწილი (შესაბამისად 47 და 33 პროცენტი) ოპოზიციურ საარჩევნო ბლოკ ქართულ ოცნებას მიუძღვნა, გაშუქების ტონი კი ძირითადად პოზიტიური იყო. ტელეკომპანია კავკასიის ახალი ამბების გამოშვებები ძირითადად ქართული ოცნების საქმიანობაზე იყო ფოკუსირებული (29 პროცენტი), მაგრამ ამავე დროს ამ ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებებში საკმაოდ დიდი დრო ეთმობოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანების (შესაბამისად 15 და 7 პროცენტი) საქმიანობების პოზიტიურად და ნეიტრალურად გაშუქებას.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ჩატარებული მედია მონიტორინგის შედეგები აჩვენებს რომ უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის განსაზღვრული დრო რომელიც ყველა ტელეკომპანიის მიერ იქნა გამოყოფილი ოთხივე კვალიფიცირებული საარჩევნო სუბიექტის მიერ იქნა გამოყენებული. ფასიანი სარეკლამო დრო ძირითადად ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და შედარებით ნაკლებად ქართულმა ოცნებამ გამოიყენეს. არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტებმა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის არჩევნეზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბარში უკმაყოფილება გამოხატეს ნაციონალურ ტელეარხებზე პოლიტიკური რეკლამის სიძვირის გამო. ორმა არაკომერციულმა ორგანიზაციამ საეთერო დრო ერთ შემთხვევაში ქართული ოცნების წინააღმდეგ მიმართული ნეგატიური რეკლამის გასაშვებად ხოლო მეორე შემთხვევაში ხელისუფლების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული რეკლამის გასაშვებად იყიდეს. ამ ორი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ეთერში გადაცემული ვიდეო კლიპები ასევე ქართული ოცნების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უფასო პოლიტიკური რეკლამის სახითაც გავიდა ეთერში.

ეროვნული უმცირესობების ჩართულობა

ეროვნულ უმცირესობებს საქართველოს კონსტიტუციით სრული პოლიტიკური უფლებები გააჩნიათ, 2002 წლის აღწერის მიხედვით ეროვნული უმცირესობები

[42] კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4-ე პარაგრაფი სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ნათელი განსხვავების უზრუნველყოფას ითხოვს.

საქართველოს მოსახლეობის 16.2 პროცენტს შეადგენენ. ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნული უმცირესობებია აზერბაიჯანელები (6.5 პროცენტი) და სომხები (5.7 პროცენტი). რამოდენიმე პარტიამ და ბლოკმა საკუთარ პარტიულ სიებში კანდიდატებად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებიც დაასახელეს, მათ მაჟორიტარობის კანდიდატებად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები ისეთ ოლქებში წარადგინეს სადაც დიდია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რიცხვი. ახალქალაქში ხუთი მაჟორიტარობის კანდიდატი, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ქართული ოცნების კანდიდატები, წარმოშობით სომხები არიან; ნინოწმინდის რაიონში ოთხი მაჟორიტარობის კანდიდატი ასევე სომხები არიან. მარნეულში ექვსი მაჟორიტარობის კანდიდატი წარმოშობით აზერბაიჯანელია. ცესკომ საარჩევნო სიები, ბიულეტენები და ოქმები ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნა, ცესკომ ასევე ჩაატარა ტრეინინგები ეროვნული უმცირესობების ენებზე რაც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდა[43]. გარდა ამისა ცესკოს გახსნილი ჰქონდა სამენოვანი ცხელი ხაზი და რეგულარულად უშვებდა ეთერში ამომრჩევლებისთვის განკუთვნილ ინფორმაციას სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. აღნიშნული მისასალმებელი ინიციატივები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან ერთად იქნა შემუშავებული.

საჩივრები და აპელაციები

ახალი საარჩევნო კოდექსის ფარგლებში დავების მოგვარების და საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებების წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების სწრაფად გადაწყვეტის მექანიზმი იქნა შემუშავებული. მოხდა საჩივრების შეტანის ვადების განსაზღვრა და გამოიყო დამატებითი დღე საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე საჩივრების შესატანად. ცესკომ ჩამოაყალიბა საჩივრების წარდგენის ფორმის სტანდარტი, რამაც პროცესი გაადვილა, ცესკომ ასევე ჩაუტარა ტრეინინგები პარტიების იურისტებს და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს დავების გადაწყვეტის პროცესის შესახებ, ასევე გამოცემული იქნა შესაბამისი სახელმძღვანელო. საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა ასევე გაიარეს მომზადება არჩევნების დღეს საჩივრებთან დაკავშირებული პროცესის შესახებ. საჩივრების პარალელური განხილვის სისტემის შესაძლებლობა მთლიანობაში გაუქმებული იქნა ისე როგორც ეს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ იქნა რეკომენდირებული. თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის ან სასამართლოების მეშვეობით საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების დღეს

[43] მაგალითად გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით „ხმის მიცემის შესახებ ინფორმაცია და მასალები ეროვნული უმცირესობების ენებზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი“, იხილეთ ICCPR-ის 25-ე მუხლის 25-ე საერთო შენიშვნა.

მიღებული გარკვეული გადაწყვეტილებების და ქმედებების გასაჩივრების საშუალება კვლავ რჩება[44]. ამ დებულების შედეგად შეიძლება საჩივრების ეფექტურად და სწრაფად განხილვის სისტემა საფრთხის ქვეშ დადგეს.

წინასაარჩევნო პერიოდში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ 236 საჩივარი დააფიქსირა, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციაში და სასამართლოში იქნა შეტანილი[45]. საჩივრები ძირითადად ქართული ოცნების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ იყო წარდგენილი მთელი ქვეყნის მასშტაბით. საუბნო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული 18 გადაწყვეტილება სასამართლოში იქნა გასაჩივრებული, არცერთი მათგანი დაკმაყოფილებული არ ყოფილა. საჩივრებიდან 138 საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული ან არ ყოფილა განხილული, მათ შორის 120 საჩივარი უარყოფილი/არ დაკმაყოფილებული იქნა საარჩევნო კომისიის ხოლო 18 საჩივარი კი სასამართლოს მიერ. 18 სექტემბერს ცესკომ ადმინისტრაციული ოქმი შეადგინა, რომლითაც თავისუფალი საქართველო ექვსი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე 2,000 ლარით დააჯარიმა, აღნიშნული გადაწყვეტილება მოგვიანებით სასამართლოს მიერაც იქნა მხარდაჭერილი. აღნიშნული სარჩელი სადავო ხასიათის ვიდეო კლიპს შეეხებოდა, რომელიც სოციალური მედიით იქნა გავრცელებული და როგორც საჩივარში იყო გაცხადებული „რელიგიური შუღლის და დაპირისპირების გაღვივების მოწოდებებს“ შეიცავდა.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

ცესკომ ამ არჩევნებზე დასაკვირვებლად 50 ადგილობრივი და 61 საერთაშორისო ორგანიზაცია დაარეგისტრირა. ცესკომ არ დააკმაყოფილა 27 ორგანიზაციის მიერ შემოტანილი თხოვნა ძირითადად პროცედურული დარღვევების ან დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის არ მოწოდების გამო[46]. მთლიანობაში ცესკომ აკრედიტაცია დაახლოებით 20,000 ადგილობრივ და 2,000 საერთაშორისო დამკვირვებელს მისცა. ამ რაოდენობის ადგილობრივი დამკვირვებლის აქტიურმა მონაწილეობამ პროცესის ტრანსპარენტულობის ზრდას შეუწყო ხელი. სამოქალაქო საზოგადოებამ და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გარკვეული საქმიანობა გასწიეს საარჩევნო პროცესის მხარდასაჭერად და არჩევნების მონიტორინგისთვის, მათ შორის მათ წინასაარჩევნო პროცესზე დაკვირვება,

[44] ეს გამორიცხავს ჯამური შედეგების ოქმების მიღებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს

[45] 2 საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიას, 132 საოლქო საარჩევნო კომისიას და 83 ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარედგინა, გარდა ამისა 19 საჩივარი სასამართლოში იქნა შეტანილი.

[46] იხილეთ საარჩევნო კოდექსის 39-ე და 40-ე მუხლები.

არჩევნების დღეს დამკვირვებლების ადგილზე განთავსება, საოლქო საარჩევნო კომისიების და მედია საშულებების მუშაობის მონიტორინგი, ამომრჩეველთა სიების გადამოწმება მოახდინეს. გარდა ამისა მათ გახსნეს ცხელი ხაზები და შექმნეს საინფორმაციო ვებსაიტები.

არჩევნების დღე

საარჩევნო უბნებზე პროცედურები მთლიანობაში დაცული იყო და საერთაშორისო დამკვირვებლებმა ეს პროცესი 158 მონახულებული უბნიდან დადებითად 140 საარჩევნო უბანზე შეაფასეს, თუმცა საარჩევნო უბნების გახსნისას მცირე დაყოვნებებსაც ჰქონდა ადგილი.

ხმის მიცემის პროცესი მთლიანობაში კარგად იყო ორგანიზებული და შესაბამისი თანამშრომლები ხმის მიცემის პროცესის ადმინისტრირებას კომპეტენტურად და პროფესიონალურად ახდენდნენ. საერთაშორისო დამკვირვებლებმა მათ მიერ მონახულებული საარჩევნო უბნებიდან აღნიშნული პროცესი დადებითად ამ უბნების 93.5%-ზე შეაფასეს. ეს პროცესი უფრო უარყოფითად სოფლებში იქნა შეფასებული. ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიების წარმომადგენლები თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ (შესაბამისად 95% და 99%). თუმცა ამომრჩეველთა დიდ რაოდენობასთან ერთად მონახულებული უბნების 11.5%-ში ამან ზედმეტი ხალხმრავლობა გამოიწვია, რამაც თავის მხრივ როგორც საარჩევნო უბნებზე ისე მათ გარეთ დაძაბულობას შეუწყო ხელი. საერთაშორისო დამკვირვებლების განცხადებით მათ მიერ მონახულებული უბნების 5%-ში მათ გარკვეული შეზღუდვები დაუწესეს. რამოდენიმე შემთხვევაში პარტიების წარმომადგენლები საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩაერივნენ. მონახულებული საარჩევნო უბნების 52%-ში საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები ქალები იყვნენ.

მოხდა რამოდენიმე პროცედურული პრობლემის იდენტიფიცირება. საერთაშორისო დამკვირვებლებმა შეამჩნიეს რომ ამომრჩევლები თავიანთ არჩევანს ყოველთვის საიდუმლოდ არ აკეთებდნენ, დამკვირვებლებმა მონახულებული საარჩევნო უბნების 5%-ში ჯგუფურად ხმის მიცემის ფაქტები დააფიქსირეს. გარკვეული არათანმიმდევრულობა ასევე დაფიქსირდა მარკირებისთვის გამოყენებული მელნის გამოყენებისას და შემოწმებისას, მარკირება ერთი ადამიანის მიერ ხმის მრავალჯერ მიცემის აღკვეთისთვის გამოიყენება (მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები მონახულებული უბნების 7%-ში იქნა დაფიქსირებული). ამომრჩეველთა იდენტიფიცირების პროცედურები მთლიანობაში დაცული იყო. მონახულებული საარჩევნო უბნების 7.5%-ში გარკვეული რაოდენობის ადამიანებს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრეს რადგან მათი გვარები არ აღმოჩნდა შესაბამის ამომრჩეველთა სიებში.

მართალია ხმის დათვლის პროცედურები მთლიანობაში შესრულებული იყო, მაგრამ საერთაშორისო დამკვირვებლებმა დათვლის პროცესი ხმის მიცემის პროცესთან შედარებით ნაკლებად პოზიტიურად შეაფასეს. მონახულებული საარჩევნო უბნების თითქმის ერთ მეექვსედში ხმის დათვლის პროცესი ნეგატიურად იქნა შეფასებული. მონახულებული 135 საარჩევნო უბნების ერთ მესამედში საუბნო საარჩევნო კომისიას შედეგების ოქმის შედგენა გაუჭირდა, რამაც პროცედურული შეცდომები გამოიწვია, მათ შორის მონახულებული საარჩევნო უბნების ერთ მეათედში ოქმებზე ხელის წინასწარ მოწერა იქნა დაფიქსირებული. შედეგების ოქმები ყოველთვის გამოკრული არ იყო რაც კანონის მოთხოვნას ეწინააღმდეგება და გამჭირვალეობის პრინციპიდან გადახვევას წარმოადგენს. იყო იმის ნიშნები რომ მანამდე მთელი ქვეყნის მასშტაბით 7 შემთხვევაში საარჩევნო ყუთებში ბიულეტინების ჩაყრა მოხდა, მათ შორის ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ხაშურში სადაც ხმის დათვლის პროცესი მოგვიანებით ჩაიშალა. ცესკომ განაცხადა რომ რამოდენიმე საარჩევნო უბანზე არჩევნების შედეგების გაუქმების შესაძლებლობა განიხილება.

ხმების შეჯამების პროცესი ძირითადად გამჭირვალედ მიმდინარეობდა, ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში ზედმეტი ხალხმრავლობა შეიმჩნეოდა. საერთაშორისო დამკვირვებლების მონაცემებით რვა შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიების მასალები წესიერად დალუქული არ ყოფილა და შეჯამების პროცესზე დაკვირვებისას (87 უბანზე) 9 შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმში დაფიქსირებული ციფრები სწორად შეჯამებული არ ყოფილა. თეთრიწყაროში სულ ცოტა ორმა საუბნო საარჩევნო კომისიამ მათი ბიულეტინები და ოქმები პირდაპირ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გააგზავნა რადგან ხალხმრავლობის გამო მათ ამ დოკუმენტების საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანა ვერ მოახერხეს.

ამ დოკუმენტის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.

ინფორმაცია მისიის შესახებ და მადლობები

თბილისი, 2012 წლის 2 ოქტომბერი - ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია თბილისში 22 აგვისტოს გაიხსნა. მასში შედის დედაქალაქში მომუშავე 16 ექსპერტი და 24 გრძელვადიანი დამკვირვებელი, რომლებიც მთელი საქართველოს მასშტაბით არიან განლაგებული.

არჩევნების დღეს 42 ქვეყნის 393 დამკვირვებელი იქნა ადგილზე განლაგებული, მათ შორის 290 მოკლევადიანი დამკვირვებლები, რომლებიც ეუთოს

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ იქნა გამოყოფილი, გარდა ამისა ადგილზე ევროპის საპარლამენტო ასამბლეის 53 წევრი და თანამშრომელი იქნა განლაგებული, 22 დამკვირვებელი იქნა განლაგებული ევროპის საბჭოს საპარალამენტო ასამბლეის მიერ, 14 ევროპის პარლამენტის მიერ და 14 ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ. არჩევნებზე დაკვირვება 1,260 უბანზე ხდებაოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ხმების დათვლის და შეჯამების პროცესზე დაკვირვება 55 საუბნო საარჩევნო კომისიაში მოხდა.

დამკვირვებლებს სურთ გამოხატონ მადლიერება საქართველოს ხელისუფლებისადმი არჩევნებზე დასაკვირვებლად მოწვევისთვის; დამკვირვებლებს ასევე სურთ მადლობა გადაუხადონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტს და სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს მათ მიერ გაწეული დახმარების და თანამშრომლობისთვის. დამკვირვებლებს ასევე სურთ მადლობა გადაუხადონ დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ინსტიტუტებს მათი თანამშრომლობის და მხარდაჭერისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:

- ნიკოლაი ვულჩანოვს, ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის თავმჯდომარეს თბილისში (+995 577 32 93 01);
- ტომას რაიმერს ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სპიკერს (+48 609 522 266); ან სტივენ მარტინს ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების საკითხებში მრჩეველს ვარშავაში (+48 22 5200 664);
- ნილ საიმონს, კომუნიკაციების დირექტორს, ევროპის საპარლამენტო ასამბლეა (+45 601 08 380) ან თინა შონს, ევროპის საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივნის მოადგილეს კოპენჰაგენში (+45 403 04 985);
- ნატალი ბარგელინის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, +995 55 114 643 ან +33 6 65 40 32 82, nathalia.bargellini@coe.int;
- მარტა უდინას, ევროპის პარლამენტი, +995 577 392 350 ან +32 498 983 339, marta.udina@europarl.europa.eu;
- ვალერი გეფროის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, +995 577 329 354 ან +32 478 554 816, vgeffroy@nato-pa.int

ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მისამართი:
International House
თარხნიშვილის ქუჩა #27, თბილისი, საქართველო
ტელეფონი: +995 32 2 970 152

ფაქსი: +995 32 2 970 153
ელ. ფოსტა: office@odihr.ge